საქართველოს კანონი

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კოდექსის 168-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ნ) ფიზიკური პირების მიერ პრივატიზების წესით მიღებული ქონების ღირებულება ან/და მიწისძვრითა და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ბინების სანაცვლოდ იმავე დასახლებულ პუნქტში დაზარალებულების მიერ ან/და სხვა დასახლებულ პუნქტში ეკომიგრანტების მიერ უსასყიდლოდ მიღებული ბინების ღირებულება."

2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს 2007 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,
2008 წლის — თებერვალი, N —